სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N15

ქ. რუსთავი **17 იანვარი 2024 წელი**

ერთის მხრივ ა.ა.ი.პ. რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება ილია ჭავჭავაძის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა ს.კ 216317064 (შემდგომში ,,შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის თეა ჟვანიას სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. ტალარია ს/კ 204542860 (შემდგომში ,,მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის ნინო კალანდაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს [1]“ (გამარტივებული შესყიდვა) ქვეპუნქტის თანახმად, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 `ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ~ (შემდგომში – `ხელშეკრულება~) –შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 `ხელშეკრულების ღირებულება~ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 `დღე~, `კვირა~, `თვე~ _კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 `შემსყიდველი''_ ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 `მიმწოდებელი''–პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 `საქონელი''–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2,1ხელშეკრულების საგანია საკანცელარიო საქონლის შეძენა CPV30100000;22800000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 890(რვაასოთხმოცდაათი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს

3.3 დაფინანსების წყარო: 2024 წლის ბიუჯეტი

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

4.2 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად. ანგარიშსწორება მოხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების, შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეების მიერ ხელმოწერიდან, სასაქონლო ზედნადები/საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტი დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, აღნიშნული დასაბუთებული უნდა იქნეს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ.

6. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ქ.რუსთავში

6.2 საქონლის მიწოდება მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს მიმდინარე წლის 22 იანვრამდე

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.2 პუნქტში.

7.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება.

8. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

8.1 შემსყიდველმა საქონლის მიწოდებისთანავე უნდა ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი, რომელსაც განახორციელებს შესაბამისი უფლებამოსილი პირი, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას კონტროლის განხორციელების დროს.

8.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.2 ხელშეკრულების მხარეს, მის მიერ შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში თუ ერთი მხარისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების 1%-ს, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 11.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. დაუძლეველი ძალა

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2024 წლის 30 ივნისის ჩათვლით. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
aip « rusTavis sabiblioTeko gaerTianeba-ilia WavWavaZis saxelobis mTavari biblioTeka » s/k. 216317064 **mis: q. rusTavi Sartavas 11** სახელმწიფო ხაზინა b/k. TRESGE22 a/a. GE24NB0330100200165022	S.p.s. „ტალარია" s/k. 204542860 თიბისი ბანკი TBCBGE22 GEGE06TB1959036020100001 q. rusTavi კოსტავას 13
aip « rusTavis sabiblioTeko gaerTianebის **დირექტორი**	**შპს „ტალარია" დირექტორის მ/პ**
თეა ჟვანია	*ნინო კალანდაძე*

N.N.L.E.Rustavi city library union Ilia Cavchavadze central library
Digitally signed by N.N.L.E.Rustavi city library union Ilia Cavchavadze central library
Date: 2024.01.17 20:07:31 +04'00'

Nino Kalandadze 35001079524
Digitally signed by Nino Kalandadze
Date: 2024.01.17 19:53:54

ხელშეკრულების დანართი

№	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	კალამი Vinson 214	ცალი	23	1.50	34.50
2	კალამი საშლელით და სენსორით 3140	ცალი	8	2.40	19.20
3	კალამი 0525 0.1მმ	ცალი	50	1.45	72.50
4	ბლოკნოტი უჯრა Deli 6589	ცალი	9	14.90	134.10
5	რვეული უჯრა 1596 ზამბარით	ცალი	25	3.50	87.50
6	ბლოკნოტი A7 80 ფურც.(ყვ. ფ.) ზედ ზამბ. hatber ART: 02037	ცალი	3	2.50	7.50
7	რვეული 12ფ მწვანე პრიალა ყდით	ცალი	4	0.50	2.00
8	რვეული 24ფრ	ცალი	4	0.65	2.60
9	წებო მშრალი 15გრ Deli	ცალი	4	1.40	5.60
10	საწერი კალამი კ-15	ცალი	3	1.50	4.50
11	კალამი ბურთულიანი ზ4	ცალი	2	1.50	3.00
12	სკოჩი თვითწებვადი ლენტა 43მიკ.100მ 3197	ცალი	4	4.50	18.00
13	ფლომასტერების ნაკრები 12ფC155-12 , DELI	ცალი	1	6.65	6.65
14	ტექსტმარკერი deli S600	ცალი	2	1.00	2.00
15	ტექსტ მარკერი S600 დელი	ცალი	1	1.20	1.20
16	კალამი ვინსონი ა5	ცალი	1	1.50	1.50
17	კალამი ა72	ცალი	1	1.50	1.50
18	კალამი ბურთულიანი KITE HW23-033 HW, ლურჯი	ცალი	2	1.50	3.00
19	კალამი 345	ცალი	4	1.50	6.00
20	სახატავ. ალბ. 16 ფურც. HATBER COD: 079713	ცალი	1	2.00	2.00
21	სახატავ ალბომი. 16 ფ. Art: 23723 (სავუშკი. მილ.) HATBER	ცალი	1	2.20	2.20
22	სახატავი. ალბომი 24 ფ . HATBER COD: 056945 (11)	ცალი	2	2.90	5.80
23	საწერი კალამი kk-7434 6col.0.7mm	ცალი	3	3.80	11.40
24	ბაინდერი ვიწრო H607 , DELI	ცალი	2	4.00	8.00
25	საქაღალდე რეზინით A4 Deli 395047	ცალი	1	3.30	3.30
26	სტეპლერის სკობი AXENT 4311-A 10/5, 1000ც.	ცალი	2	0.60	1.20
27	სტეპლერის ტყვია დიდი N24/6 1212, HELIO	შეკვრა	1	0.80	0.80
28	სტეპლერის ტყვია იალონგი 24/6 85502	ცალი	1	0.90	0.90
29	სკოჩი ორმაგი 24X10 30403	ცალი	2	1.70	3.40
30	სკოტჩი პატარა 30014	ცალი	9	0.60	5.40
31	კორექტორი კალამი KITE 8მლ Fantasy K22-012	ცალი	3	1.30	3.90
32	ფერადი ფანქარი 12ფ 00300 დელი	ცალი	2	3.80	7.60
33	ფლომასტერი Koh-i-noor 771002JF23KS 6ფ. teenage მუყ. კოლ.	ცალი	2	3.00	6.00

34	საშლელი ErichKrause SHELL 35133 (24)	ცალი	1	1.40	1.40
35	სათლელი Maped	ცალი	1	2.90	2.90
36	პერმანენტ მარკერი U216-BL, DELI	ცალი	1	1.00	1.00
37	რვეული 48 ფ იბერია უჯრა	ცალი	2	0.80	1.60
38	სასკოლო რვეული 48 ფურცლიანი	ცალი	11	1.00	11.00
39	კალამი ბურთულიანი KITE NR23-363 NR, ლურჯი	ცალი	1	1.80	1.80
40	კალამი ა26	ცალი	1	1.50	1.50
41	კალამი ბურთულიანი ა21	ცალი	1	1.50	1.50
42	კალამი ვინსონი ა25	ცალი	1	1.50	1.50
43	კალამი ბურთულიანი A27	ცალი	1	1.50	1.50
44	კალამი 1806	ცალი	2	0.30	0.60
45	ბურთულიანი კალამი Montex TRICON 50	ცალი	2	0.50	1.00
46	პლასტელინი 6 ფერიანი Luch zoo	ცალი	1	2.50	2.50
47	საშლელი KOH-I-NOOR სპილო	ცალი	1	0.45	0.45
48	სახატავი ალბომი 20ფ.	ცალი	2	3.50	7.00
49	სათლელი იალონგი 191687	ცალი	1	2.90	2.90
50	კორექტორი 569	ცალი	8	1.60	12.80
51	რვეული ხაზი ზამბარით	ცალი	12	3.50	42.00
52	რვეული ა4 უჯრა	ცალი	5	4.50	22.50
53	ბლოკნოტი ა6 Deli 548	ცალი	15	4.60	69.00
54	ბლოკნოტი 3212	შეკვრა	2	12.90	25.80
55	მარკერი წითელი 5489	ცალი	30	1.20	36.00
56	მარკერი ლურჯი/შავი R6KG SP-4TGTEPK	ცალი	60	1.20	72.00
57	კორექტორი 505	ცალი	20	1.50	30.00
58	მარკერი 6471 მწვანე AA	შეკვრა	32	1.20	38.40
59	სტეპლერის ტყვია პატარა N10 0010	შეკვრა	10	0.60	6.00
60	ბლოკნოტი ჩასანიშნი AXENT 8405-07-A გამყოფებით A5, 120ფ. უჯრა, იასამნისფერი	ცალი	1	12.40	12.40
61	სკოჩი ბს-15*5	ცალი	5	1.20	6.00
62	სკოჩი ბს-36*5	ცალი	1	2.20	2.20
	სულ		414		890

შემსყიდველი

დირექტორი: თ. ჟვანია

N.N.L.E.Rustavi city library union Ilia Cavchavadze central library

Digitally signed by N.N.L.E.Rustavi city library union Ilia Cavchavadze central library
Date: 2024.01.17 20:07:58 +04'00'

შემსრულებელი

შპს „ტალარია“ დირექტორის მ/პ ნ. კალანდაძე

Nino Kalandadze 35001079524

Digitally signed by Nino Kalandadze
Date: 2024.01.17 19:58:15

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. რუსთავი 17 იანვარი 2024 წელი

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შსაბამისად, ქვემოთ მითითებული პირი ადასტურებს, რომ ააიპ რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება ილია ჭავჭავაძის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკის მიერ 2024 წლის 17 იანვარს გაფორმებული N15 ხელშეკრულებაში მისი მონაწილეობა მიმწოდებელთან სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ააიპ რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება ილია ჭავჭავაძის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა დირექტორი: თეა ჟვანია

N.N.L.E.Rustavi city library union Ilia Cavchavadze central library

Digitally signed by N.N.L.E.Rustavi city library union Ilia Cavchavadze central library
Date: 2024.01.17 20:08:17 +04'00'